

ოთარ ჩხარტიშვილი



ოთარ ჩხარტიშვილი (1938 – 2006)
1970-იან წლებში თავი დაიმკვიდრა ქართველ წამყვან ნონკონფორმისტ მხატვრად. ის მონაწილეობდა 1974 წლის ე.წ. ბულდოზერის გამოფენაში, ასევე ალექსანდრე გლეზერისა და ევგენი რუხინის ბინებში მოწყობილ არასანქცირებულ გამოფენებში. ოთარ ჩხარტიშვილის მჭიდრო კავშირმა მოსკოვის ანდერგრაუნდის მხატვართა წრესთან და 1977 წელს Zimmerli Art Museum - ის მიერ მისი კოლაჟის - სპილოს შექენამ სუკ-ის ყურადღება მიიპყრო. 1960-იანი წლების ბოლოდან 1990 წლამდე ვზიდუ ანტისაბჭოთა მხატვრის ჯვარი და ამიტომ ჩემი ხელოვნება ტოტალიტარიზმისა და ათეიზმის

წინააღმდეგ საბრძოლო იარაღი გახდა, – ვკითხულობთ მხატვრის ავტობიოგრაფიაში.
ოთარ ჩხარტიშვილის მხატვრულ მემკვიდრეობაში აღსანიშნია კონცეპტუალური სერია წელიწადის ოთხი დრო. ჩემი ეზო. აქ ქართულ ხელოვნებაში პირველად ჩნდება ხელოვნებისადმი ანტიფორმალისტური მიდგომა, როცა ესთეტიკური ასპექტი მეორეხარისხოვნად იქცა კონცეფციასთან შედარებით. მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმში, Zimmerli Art Museum-ში, მრავალ კერძო კოლექციონერთან.

In the 1970s, Otar Chkhartishvili (1938-2006) solidified his position as a prominent Georgian nonconformist artist. He participated in the so-called Bulldozer Exhibition in 1974 and took part in unsanctioned exhibitions held in the apartments of Alexander Glezer and Evgeny Rukhin. Otar Chkhartishvili's close association with the circle of Moscow underground artists and the acquisition of his collage *Elephant* by the Zimmerli Art Museum (New Jersey, USA) in 1977 drew the attention of the KGB. In the artist's autobiography, he notes, *From the end of the 1960s to the 1990s, I carried the cross of an anti-Soviet artist, and as a result, my art became a weapon against totalitarianism and atheism.*
In Otar Chkhartishvili's artistic legacy, the conceptual series *Four Seasons: My Yard* (1980–1998) holds a distinctive place. Notably, this series marks the emergence of an anti-formalist approach in Georgian art, where the aesthetic aspect takes a secondary role to the conceptual elements. Otar Chkhartishvili's artworks are housed in various museums and private collections, including the Georgian National Museum and the Zimmerli Art Museum.



© საქართველოს ეროვნული გალერეა, 2024
შოთა რუსთაველის გამზირი N11, 0108, თბილისი, საქართველო
(+995 32) 2 157 300, exhibition@museum.ge, art.gov.ge
© Georgian National Gallery, 2024
11, Shota Rustaveli Ave, 0108, Tbilisi, Georgia
(+995 32) 2 157 300, exhibition@museum.ge, art.gov.ge






საქართველოს
 ეროვნული
 ბანკი
**GEORGIAN
 NATIONAL
 GALLERY**



დimitრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში 2023 წლის 20 ივნისიდან 10 სექტემბრის ჩათვლით გაიმართა ოთარ ჩხარტიშვილის 85 წლის თავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენა – თავისუფლებით შთაგონებული ხელოვნება
 The exhibition *Art Inspired by Freedom*, marking the 85th birthday anniversary of Otar Chkhartishvili, was held at the Dimitri Shevardnadze National Gallery from June 20th to September 10th, 2023



ოთარ ჩხარტიშვილის პერფორმანსი. 1996
 თბილისის ხელოვნების პირველი საერთაშორისო ბიენალე
 კურატორი მამუკა დეცხლაძე
 საქართველოს ეროვნული გალერეა
 Otar Chkhartishvili performance
 In 1996 the first International Tbilisi Art Biennale
 Curated by Mamuka Tsetsckhadze
 Georgian National Gallery



რედაქტორ - მემდგენელი ალექსანდრა გაბუნია
 ფოტოგრაფი ბორის სკრინიკოვი
 მთარგმნელი მარიამ დვალი
 დიზაინერი კახაბერ ხუხუნაიშვილი
 სტილისტ-რედაქტორი ნინო ნადარაია

Editor Alexandra Gabunia
 Photographer Boris Skrinnikov
 Translator Mariam Dvali
 Design by Kakhaber Khukhunaishvili
 Style Editor Nino Nadaraia

გარეკანზე - ოთარ ჩხარტიშვილის ნამუშევარი *უსათაურო*
 70-იანი წლები. შერეული ტექნიკა. 60 x 69 სმ. ათინათის კოლექცია
 Cover illustration - Otar Chkhartishvili *Untitled*, 1970's. Mixed media
 60 x 69 cm. ATINATI Collection

ოთარ ჩხარტიშვილის ნამუშევართა (1961-2005) კატალოგი
Otar Chkhartishvili. Catalogue of Works (1961-2005)



გოგონას პორტრეტი. 1967. ტილო, ზეთი. 137 x 127 სმ
დimitრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეის კოლექცია
Portrait of a Girl. 1967. Oil on canvas. 137 x 127 cm
Dimitri Shevardnadze National Gallery Collection

ოთარ ჩხარტიშვილის სამყარო რთული და მრავალწახნაგოვანია. თავისი შემოქმედებითი გზა მან განახლებისკენ სწრაფვაში გაიარა. მუდმივმა ძიებამ გამოკვეთა მხატვრის მიზანი, მოძებნოს აქტუალური მიდგომა, რომელიც ასახავს თანამედროვეთა გრძნობების წყობას და არა იდეოლოგიას. ამ მხრივ იგი ბოლომდე დარჩა თანმიმდევრული და პატიოსანი. იგი იყო ერთ-ერთი იმთავანი, ვისი ცხოვრება და შემოქმედებაც ერთმანეთსაა შერწყმული.

ოთარ ჩხარტიშვილი იყო გამოჩენილი მხატვარი, ასეთივე გამოჩენილი ფერმწერი და ინსტალატორი, რაც ოფიციალურად და მაშინდელი რეჟიმის მსახურთა მწვავე რეაქციებს იწვევდა. იგი გამოხატავდა არა ნივთებს, არამედ კავშირებს მათ შორის; ეძებდა არა ფერებს, არამედ ფერის მეტაფორულობას. მისეული ობიექტები, ორგანოზომილებიანი ზედაპირები და საგნები მეტაფიზიკურ არსს ხსნიან. ეს მდგომარეობა, ატაცებული განსაკუთრებული ექსპრესიით, ავტორის პირადი თავისუფლებიდან, ძიებიდან მომდინარეობს. ეს თავისუფლება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა სტერეოტიპებს, საეჭვოს ხდიდა აწყობილ სტრუქტურასა და მეთოდს, ოფიციალურ სამხატვრო ინსტიტუტებს, ისეთებს, როგორც იყო სამხატვრო აკადემია, მხატვართა კავშირი, სამხატვრო კომბინატი.

ნაწარმოებები, შექმნილი არატრადიციული მასალების ან საგნების მეშვეობით, ამოგლეჯილი ჩვეული კონტექსტიდან, ლახავდა სოცრეალიზმის ურყევ პრინციპებსა და აკადემიურ დოგმებს. ოთარ ჩხარტიშვილი არასდროს წასულა დათმობაზე სოცრეალიზმთან. მისი ცხოვრებისთვის უცხოა რაიმე კომპრომისი. მან თავისი ავტონომიური შემოქმედებითი ინდივიდუალობა სხვადასხვა გავლენის საფუძველზე ააგო.

მის ნამუშევრებში ევროპული მოდერნისტული მხატვრობის ტენდენციები (კუბიზმი, პოპარტი) ტრანსფორმირებულია საკუთარი პიროვნული საწყისის მასშტაბურობით. მან ორგანულად გაითავისა XX საუკუნის ათიანი, ოციანი წლების ევროპული ავანგარდის ელემენტები. შესაბამისად, ის გატაცებული იყო ახალი ხელოვნების პრობლემატიკით. მის ექსპერიმენტებს, რომლებიც უკავშირდება ანალიტიკურსა და სინთეტიკურ კუბიზმს და ამ უკანასკნელის თანამედვე კოლაჟის ტექნიკას, მხატვარი იმდაგვარ არტეფაქტებთან მიჰყავს, რომლებიც შეიძლება, დავახასიათოთ როგორც ერთგვარი ხარკი კუბიზმისადმი, გარდაქმნილი საკუთარი მხატვრული ხედვითა და ესთეტიკური კრედოთი. ოთარ ჩხარტიშვილის ძიებები ემთხვევა იმ პერიოდის მსოფლიოს ტენდენციებსა და ძიებებს.

უსამართლობებით ამღვრულ ყოფიერებაში ადამიანებისადმი სიყვარული ხშირად იმედგაცრუების გამო ქრება. მის გადასარჩენად ხელოვანს უნდა შეეძლოს პიროვნული სიდიდით, უკომპრომისობით იმედგაცრუება ქრონიკულ მხატვრულ იმპულსად აქციოს. ოთარ ჩხარტიშვილმა მოახერხა ამ ამოცანის გადაწყვეტა.

ოთარ ჩხარტიშვილის კოლაჟებში არაფერია შემთხვევითი. მისი კომპოზიციები ხასიათდება მეტაფორულობით და ქვეტექსტებითაა დატვირთული. თითოეული დეტალი ორმაგი მნიშვნელობისაა და მათში კი ჩანს მისი დამოკიდებულება ეპოქალური მოვლენებისადმი. მის მიერ გამოყენებული არატრადიციული ორგანიზაციული პრაქტიკა ძნელად გასაგები იყო იმდროინდელი კულტურული გარემოსთვის.



ავტოპორტრეტი. 1967
ტილო, ზეთი. 80 x 58 სმ
ათინათის კოლექცია
Self-portrait. 1967
Oil on canvas. 80 x 58 cm
ATINATI Collection

ედვენება იაშა ხეიფიცს. 1980
შერეული ტექნიკა. 72 x 51 სმ
შალვა ამირანაშვილის სახელობის
ხელოვნების მუზეუმის კოლექცია
Dedicated to Jascha Heifetz. 1980
Mixed media. 72 x 51 cm
Shalva Amiranashvili
Museum of Fine Arts Collection



SOS. 1977
შერეული ტექნიკა. 73 x 40 x 15 სმ
ნორტონ და ნენსი დოჯების კოლექცია
ზიმერლის ხელოვნების მუზეუმი
რატგერის უნივერსიტეტში
SOS. 1977
Mixed media, 73 x 40 x 15 cm
Norton and Nancy Dodge Collection
Zimmerli Art Museum at Rutgers University



დამსმენი. 1979. მამოტი, ლითონი, ხე. 51 x 30 x 17 სმ
 მხატვრის ოჯახის კოლექცია
 A Whistleblower. 1979. Chamotte, metal and wood. 51 x 30 x 17 cm
 The Artist's Family Collection

ოთარ ჩხარტიშვილის შემოქმედებაში ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა რელიგიურ მოტივებს. ეს საკმაოდ უჩვეულო იყო იმ პერიოდის მხატვრისათვის. ზოგადად, ასეთი თემატიკა საბჭოთა ნონკონფორმისტი მხატვრისათვის ხშირად პროტესტის გამონათქვამი იყო.



უცხოპლანეტელი. 1979. ალუმინი. 64 x 16 x 20 სმ
 მხატვრის ოჯახის კოლექცია
 Alien. 1979. Aluminium. 64 x 16 x 20 cm
 The Artist's Family Collection



ქვეყანა, სადაც დაიბადე. 1975. შერეული ტექნიკა. 116 x 112 სმ
 შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის კოლექცია
 Country I was Born in. 1975. Mixed media. 116 x 112 cm
 Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts Collection

ნორტონ დოჯი იყო პირველი კოლექციონერი, რომელმაც ნონკონფორმისტთა ნამუშევრების შექმნა და საბჭოეთიდან გატანა დაიწყო. ტერმინის - საბჭოთა ნონკონფორმისტული ხელოვნება - დამკვიდრებაც მას მიეწერება. ფაქტობრივად, მან გააცნო დასავლეთს საბჭოთა ე. წ. ანდერგრუნდის ხელოვნება. მის კოლექციაში 20 000-მდე ნამუშევარია, მათ შორის, ოთარ ჩხარტიშვილის სურათებიც. ამჟამად მისი კოლექციიდან ოთარ ჩხარტიშვილის 33 ნამუშევარი Zimmerli Art Museum-ში ინახება.

საქართველოში ნონკონფორმისტულ მოძრაობას არ ჰქონდა თეორიული ბაზისი. მოვლენა ატარებდა სტიქიური პროტესტის, ქაოსური კონტრარგუმენტული ქმედების ხასიათს, საბოლოოდ, ეს ყველაფერი ფრაგმენტული და სპონტანური იყო. და მაინც, მსგავსი გაუთვალისწინებელი, ოფიციალური იდეოლოგიისგან განდგომილი ცხოვრების პოზიცია იწვევდა ხელისუფლების გააფთრებას, რომელიც ყველა საშუალებას იყენებდა მაშინდელი რეჟიმისათვის არასასურველი ტენდენციების კონტროლისა და აღკვეთისათვის. ასე იკრძალებოდა გამოცემები, გამოფენები, შემოქმედს უცხადებდნენ საყვედურს, აპატიმრებდნენ და ატარებდნენ მის წინააღმდეგ დამსჯელ ოპერაციებს. ასეთ ატმოსფეროში მხატვარს როგორც პიროვნებას უნდა გაეკეთებინა არჩევანი: ა. ეცხოვრა როგორც საბჭოთა მოქალაქეს, რაც ნიშნავდა კომპარტიის, მხატვართა კავშირისა და აკადემიური ოლიგარქიის წევრობას და რაც, ცხადია, მატერიალური პრივილეგიების გარანტიას იძლეოდა; ბ. ეცხოვრა კანონგარეშე, რაც ნიშნავდა თავისუფლებას, დაუმორჩილებლობას, თვითმყოფადობას, პირად პასუხისმგებლობას მსოფლიოს წინაშე, რის გამოც კარგავდი საზოგადოებრივ, სოციალურსა და უფლებრივ გარანტიებს, მმართველთა კეთილგანწყობას.

60-იანი წლებიდან ნონკონფორმისტული აქტიურობით მხატვრებმა: ავთო ვარაზმა, ოთარ ჩხარტიშვილმა, თემო ჯაფარიძემ, კარლო გრიგოლიამ, ამირ კაკაბაძემ, ავთო მესხმა, ვატიკა დავითაშვილმა და სხვებმა საფუძველი ჩაუყარეს არაოფიციალურ ხელოვნებას საქართველოში, რაც ნიშნავდა ახალი კულტურული ეპოქის დასაწყისს, რომელიც კონიუნქტურულ, ანგაჟირებულ ხელოვნებას წინ აღუდგა.

ოთარ ჩხარტიშვილის სიცოცხლის ბოლო წლები ამბიციებისგან დაცლილია - ხელოვანს უცნაური სიმშვიდე დაუფლა. ეგზისტენციალური გამოსავალი და მისი როგორც მხატვრის თვითგამოხატვის სოციალური გამოსავალიც სიცოცხლის ბოლო წლებში ერთმანეთს დაემთხვა: როგორც სოციალურმა მხატვარმა, მან მასწავლებლის მისია იტვირთა.

ოთარ ჩხარტიშვილის როლი XX საუკუნის ქართული თანამედროვე ხელოვნების ისტორიაში განუზომლად დიდია, მეტიც, საბაზისოა.

პოეზია. 1979. ხე. 100 x 29 x 24 სმ
 დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეის კოლექცია
 Poetry. 1979. Wood. 100 x 29 x 24 cm
 Dimitri Shevardnadze National Gallery Collection






სახელიძე, 1979 წლის მუშაობა
მხატვრის რეზანია კოლეჯია
Allen, 1979, Aluminium, 64 x 26 x 20
The American Family Collection

საიდუმლო სერობა. 1983. ხე, ლითონი, წებო, აირწინალი, ქსოვილი, ზეთი, ნახშირი, დამდნარი პლასტმასა. 154 x 218 სმ
გია ჯოხთაბერიძისა და მანანა შევარდნაძის კოლექცია. დაცულია ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმში
Last Supper. 1983. Metal, glue, gasmask, cloth, oil, coal and melted plastic on wood. 154 x 218 cm
Gia Jokhtaberidze and Manana Shevardnadze Collection. Kept in the Museum of Georgian Fine Arts



ეკლესია და ტექნოკრატია. 2003. ხე, მიკროსქემა, პლასტმასა, წებო. 61 x 50 სმ. ათინათის კოლექცია
Church and Technocracy. 2003. Microchips, plastic and glue on wood. 61 x 50 cm. ATINATI collection



თევზის კომპოზიცია. 1973. ხე, ლითონი, წებო, გამომშრალი თევზი, პლასტმასის დეტალები. 47 x 47 სმ. მხატვრის ოჯახის კოლექცია
Fish Composition. 1973. Wood, metal, glue, dry fish and plastic details. 47 x 47 cm. The Artist's Family Collection



კომპოზიცია. 1987. ბრინჯაო. 65 x 33 x 48 სმ
მხატვრის ოჯახის კოლექცია
Composition. 1987. Bronze. 65 x 33 x 48 cm
The Artist's Family Collection



კვიპაროსები. 1985. მუყაო, ზეთი. 69 x 66 სმ
მხატვრის ოჯახის კოლექცია
Cypresses. 1985. Oil on cardboard. 69 x 66 cm
The Artist's Family Collection

Otar Chkhartishvili's world is complex and multifaceted, shaped by his journey along the creative path in pursuit of renewal. His persistent quest defined the artist's objective: to discover a topical artistic approach that captures the essence of the mood of his contemporaries rather than adhering to a specific ideology. In this respect, he maintained consistency and honesty throughout his career. Otar Chkhartishvili was among those rare individuals whose lives and artistic endeavours were inextricably linked.

He was an exceptional artist, excelling equally in painting and installation art, staggering officials and supporters of the regime. He depicted not only individual objects but also the interconnections among them. He sought not merely colours but the metaphorical significance within them. Objects, whether presented on two-dimensional surfaces or embodied in three-dimensional forms, revealed a metaphysical essence. This state, distinguished by a unique expression, emanated from the author's personal freedom and relentless quest. This freedom challenged stereotypes and cast doubt upon the prevailing structures and methods, including official artistic institutions such as the Academy of Fine Arts, the Union of Artists, and the Art Kombinat.

Artworks created from unconventional materials or items, removed from their typical context, subverted the steadfast principles of socialist realism and academic dogmas. Otar Chkhartishvili never succumbed to socialist realism; compromise was alien to his life.

He forged his autonomous creative individuality by drawing from various influences. In his works, the trends of the European modernist painting, such as cubism and pop art, undergo a transformation influenced by the unique perspective of his personal origins. Otar Chkhartishvili adeptly assimilated the elements of the European avant-garde of the 1910s and 1920s, leading to a profound engagement with the challenges of new art. His experiments with analytical and synthetic cubism, along with the associated collage techniques, resulted in artefacts that can be seen as a homage to cubism reinterpreted through his distinctive artistic vision and aesthetic principles.

Otar Chkhartishvili's quests resonate with the world's artistic trends and quests of his era. In a life rife with injustices, the love for people can often wane due to frustration. To preserve it, the artist must possess the ability to transform disappointment into a persistent artistic impulse, fuelled by personal strength and unwavering resolve. Otar Chkhartishvili successfully accomplished this task.

Nothing in Otar Chkhartishvili's collages is unintentional. His compositions are marked by metaphors and laden with subtexts. Every detail carries a dual meaning, revealing his stance towards epochal events. The unconventional organisational practices he employed were challenging for the cultural environment of his time to comprehend.

Religious motifs consistently held a significant place in Otar Chkhartishvili's body of work, diverging from the widespread norms of his time. In a broader context, such themes often served as a form of protest for Soviet non-conformist artists.


Norton Dodge, an American economist and educator, was the first collector to acquire non-conformist artworks and transport them out of the Soviet Union. He was credited with coining the term "Soviet non-conformist art" and played a pivotal role in introducing so-called Soviet underground art to the West. His extensive collection, comprising approximately 20,000 works, includes pieces by Otar Chkhartishvili. Currently, the Zimmerli Art Museum houses 33 works by Otar Chkhartishvili from Norton Dodge's collection.




ნატურმორტი. 1981. ტილო, ზეთი. 59 x 50 სმ
 შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის კოლექცია
 Still life. 1981. Oil on canvas. 59 x 50 cm
 Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts Collection



სამი გადაცემა. ტრიპტიქი. 1981. ფირფიცარი, ტემპერა. 40 x 57, 40 x 57, 45 x 61 სმ
 დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეის კოლექცია
 Three Transfers. Triptych. 1981. Tempera on plywood. 40 x 57, 40 x 57, 45 x 61 cm
 Dimitri Shevardnadze National Gallery Collection



Made in USSR. 1978. შერეული ტექნიკა. 100 x 73 სმ
 მხატვრის ოჯახის კოლექცია
 Made in USSR. 1978. Mixed media. 100 x 73 cm
 The Artist's Family Collection




უსათაურო. 1990
 შერეული ტექნიკა. 123 x 118 სმ. ათინათის კოლექცია
 Untitled. 1990. Mixed media. 123 x 118 cm. ATINATI Collection

The non-conformist movement in Georgia lacked a theoretical basis; instead, it took on the character of a spontaneous protest and chaotic counteraction, ultimately resulting in fragmentation and spontaneity. However, this unexpected deviation from the official ideology provoked the government's anger. The authorities employed various means to control and suppress the undesirable tendencies of the prevailing regime, leading to the banning of publications and exhibitions. Artists faced reprimands, arrests, and punitive operations as a result. In such an atmosphere, the artist found themselves confronted with a crucial choice: a) to live as a Soviet citizen, entailing membership in the Communist Party, the Union of Artists, and the academic oligarchy, thereby securing material privileges; or b) to live outside the law, embracing freedom, disobedience, individuality, and personal responsibility before the world. However, this choice came at the cost of forfeiting public, social, and legal guarantees, as well as the favour of the ruling authorities.

Since the 1960s, artists engaged in non-conformist activities such as Avto Varazi, Otar Chkhartishvili, Temo Japaridze, Karlo Grigolia, Amir Kakabadze, Avto Meskhi, Vati Davitashvili and others laid the groundwork for unofficial art in Georgia.

This marked the beginning of a new cultural era, that stood in opposition to the conjunctural and engaged art of the time. In Otar Chkhartishvili's later years, ambition seemed absent as the artist embraced an unusual tranquillity. During this phase, the existential and social dimensions of his artistic self-expression aligned, leading him to adopt the role of a teacher as part of his commitment as a social artist.

Otar Chkhartishvili's role in the history of 20th-century Georgian modern art is immeasurably significant; indeed, it is foundational.




საბჭოთა კავშირის სიკვდილი. 1977. შერეული ტექნიკა, 72 x 81 x 4 სმ
 ნორტონ და ნენსი დოჯის კოლექცია. ზიმერლის ხელოვნების მუზეუმი რატგერსის უნივერსიტეტში
 The Death of the Soviet Union. 1977. Mixed media. 72 x 81 x 4 cm. Norton and Nancy Dodge Collection. Zimmerli Art Museum at Rutgers University



ჯინსები. 1965
 შერეული ტექნიკა. 110 x 69 სმ
 ათინათის კოლექცია
 Jeans. 1965
 Mixed media. 110 x 69 cm
 ATINATI Collection



უკანასკნელი მოჰიკანი. 1971. შერეული ტექნიკა. 106 x 68 სმ. მხატვრის ოჯახის კოლექცია
The Last of the Mohicans. 1971. Mixed media. 106 x 68 cm. The Artist's Family Collection



რუსთავის ზეცა. 1984. შერეული ტექნიკა. 60 x 43 სმ. დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეის კოლექცია
The Sky of Rustavi. 1984. Mixed media. 60 x 43 cm. Dimitri Shevardnadze National Gallery Collection

ბულდოზერის გამოფენა



ოთარ ჩხარტიშვილის ფენომენი ფართო საზოგადოებისთვის უკავშირდება ე.წ. ბულდოზერის ცნობილ გამოფენას. მხატვარი წერს: „მოსკოვში ტრადიციულად, ყოველ გაზაფხულზე ეწყობოდა ნონკონფორმისტების ავანგარდისტული ნამუშევრების ჯგუფური გამოფენა. გამოფენაზე თავს იყრიდნენ ის მხატვრები, რომლებიც არ იზიარებდნენ სოცრეალიზმს და ამით „საფრთხეს“ უქმნიდნენ „საბჭოთა ხელოვნების“ განვითარებას.



ჯგუფის მოთავეები იყვნენ მხატვრები: ოსკარ რაბინი, ევგენი რუხინი, პოეტი და კოლექციონერი ალექსანდრე გლეზერი. გამოფენები ხან ვინმეს ბინაში ეწყობოდა, ხან ღია ცის ქვეშ და წინასწარ არასდროს არ იყო დაგეგმილი.

1974 წლის გაზაფხულზე მოსკოვში, მეტრო ბელიაევოს მახლობელ უკაცრიელ ველზე, დილის 5 სთ-ზე გაიხსნა ნონკონფორმისტების მორიგი ჯგუფური გამოფენა. გამოფენა ძალიან საინტერესო იყო და უცხოეთის ყველა საელჩომ დილიდანვე დააფიქსირა. 12 საათისთვის კარგად გამოძინებულმა მთავრობამ ვერ გაიგო, რა ხდებოდა და უშიშროების კომიტეტთან შეუთანხმებლად გადაწყვიტა გამოფენა ბულდოზერებით დაერბია. 12 საათზე გამოფენას ყველა მხრიდან ბულდოზერებმა შემოუტია. ზოგმა მოასწრო ნამუშევრების გატანა და განადგურებას გადაარჩინა, უამრავი კი ბულდოზერებმა განადგურა. ამის შემდეგ უშიშროების კომიტეტი მილიციასთან ერთად აპატიმრებდა გამოფენის მონაწილეებს, რატომღაც არ აპატიმრებდნენ (რაც ჩემთვის დღემდე გაუგებარია) მხატვართა კავშირის წევრებს, მათ, უბრალოდ, კავშირიდან რიცხავდნენ. დააპატიმრეს მწერალ კონსტანტინე პაუსტოვსკის ვაჟი, მხატვარი ლიომა პაუსტოვსკი და ალიომა რაბინი. გამოფენაში მონაწილეობას იღებდნენ: ოსკარ რაბინი, ევგენი რუხინი, ალექსანდრე კაბაკოვი, მიხეილ სვისტნიკოვი, ბორის შტენბერგი, მწერალ არკადი შტენბერგის ვაჟი, ანატოლი ჟიგალოვი, ნატალია აბალაკოვა, ესტონელი ტინის და მარე ვინტები, საქართველოდან - ოთარ ჩხარტიშვილი. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ კვბ-მ ძირფესვიანად დამკითხა, ამიკრძალებს უცხოელებისთვის ნამუშევრების მიყიდვა. მაშინდელი მხატვართა კავშირი უშიშროების კომიტეტთან ერთად, კვბ-ს დავალებით, ეწეოდა ჩემს დისკრედიტაციას. ჩემს ნამუშევრებს არ იღებდნენ გამოფენებზე.



გამოფენა ალ. გლეზერის ბინაში. 1974. მოსკოვი
Exhibition at the flat of Al. Glezer. 1974. Moscow

ნონკონფორმისტების ჯგუფური გამოფენა. 1974. მეტრო ბელიაევოს მახლობლად. მოსკოვი
Group exhibition of Non-conformist artists. 1974. Near the Belyayev metro station in Moscow

მიუხედავად ყველაფრისა, 1975 წელს მაინც ეწყობა გამოფენა მოსკოვში, ალექსანდრე გლეზერის ბინაში. ალექსანდრე გლეზერი გახლდათ ქართული პოეზიის მთარგმნელი. იმავე წელს გამოფენა ინაცვლებს ლენინგრადში, ევგენი რუხინის ბინაში (გამოფენა მიეძღვნა ევგენი რუხინისა და გალინა პოპოვას შეუღლების ათი წლის თავს).

1976 წელს ევგენი რუხინი ლენინგრადის კვბ-მ გაზით გაგუდა თავისივე სახელოსნოში. მისი მეუღლე ხუთი მცირეწლოვანი შვილით დიდი წვალებისა და ბრძოლის შემდეგ გარბის ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოსკარ რაბინი - პარიზში, ზოგი საით და ზოგი საით. ასე დაიშალა ეს ჯგუფი, რომლის შემოქმედებამაც მისცა ახალი იმპულსი რუსულსა და საბჭოთა ავანგარდს“.

Bulldozer Exhibition

The prominence of Otar Chkhartishvili for the public is linked to the well-known Bulldozer Exhibition. The artist explains, "Traditionally, in Moscow, a group exhibition featuring avant-garde works of non-conformists was organised every spring. Artists who diverged from socialist realism and, as a result, were considered a 'threat' to the development of 'Soviet art,' congregated at this exhibition."

The group was led by artists Oscar Rabin, Yevgeny Rukhin, and the poet and collector Alexander Glezer. Exhibitions were sporadically organised, taking place in various locations such as apartments or open air, and were never premeditated.

In September 1974, near the Belyayev metro station in Moscow, curator Alexander Glezer organized an open-air exhibition featuring the works of nonconformist artists. Prior notice and invitations were extended to all embassies in Moscow. The event, documented in the early morning, received coverage on international media channels. Upon learning of the exhibition, officials, without consulting the Moscow Security Committee, decided to forcefully disband it using bulldozers. The bulldozers entered the area from all sides at 12:00. Those who managed to evacuate their works survived the destruction, while the remaining artworks were destroyed by the bulldozers. Subsequently, the Security Committee, along with the militia, apprehended the participants of the exhibition. They chose not to arrest members of the artists' union (for reasons still unclear to me); instead, they were simply expelled from the union. The son of writer Konstantin Paustovsky, the artist Lyosha Paustovsky, and Alyosha Rabin were among those arrested. The participants in the exhibition included Oscar Rabin, Yevgeny Rukhin, Alexander Kabakov, Mikhail Svistnikov, Boris Steinberg (son of the writer Arkady Steinberg), Anatoly Zhigalov, Natalia Abalakova, Estonians Tõnis and Mare Vints, and from Georgia, Otar Chkhartishvili. Following my arrival in Georgia, the KGB subjected me to thorough questioning and prohibited the sale of my works to foreigners. During that period, the Union of Artists, in collaboration with the Security Committee and on the instructions of the KGB, actively sought to discredit me. As a result, my works were rejected at exhibitions.

Despite facing numerous challenges, an exhibition was organized in Moscow in 1975, held in the apartment of Alexander Glezer, a translator of Georgian poetry. Later that year, the exhibition was moved to Yevgeny Rukhin's apartment in Leningrad, commemorating the tenth anniversary of the marriage between Yevgeny Rukhin and Galina Popova. In 1976, Yevgeny Rukhin was gassed by the Leningrad KGB in his own workshop. Following this tragic event, his wife fled to the United States of America with their five young children after much sorrow and struggle, while Oscar Rabin relocated to Paris. This is how this group was disbanded, whose creativity gave a new impetus to the Russian and Soviet avant-garde.



A water truck pursuing crowd from the scene of an outdoor art show near Moscow after authorities halted exhibit



ევგენი რუხინი. 1961
Evgeny Rukhin. 1961



ნონკონფორმისტი მხატვრები. მარცხნიდან მარჯვნივ: ოთარ ჩხარტიშვილი, ნატალია აბალაკოვა, ანატოლი ჯიგალოვი, ლარისა პიატნიცკაია, ალექსანდრე გლეზერი, ალექო გოგუაძე, ალიონა კირცოვა. 1970-იანი წლები. მოსკოვი
Nonconformist artists. From left to right: Otar Chkhartishvili, Natalia Abalakova, Anatoly Zhigalov, Larisa Pyatnitskaya, Alexander Glezer, Aleko Gogvadze, Alyona Kirtsova. 1970's. Moscow



იან ლევენშტეინთან ერთად. გამოფენა ალ. გლეზერის ბინაში. 1974. მოსკოვი
Together with Ian Levenshtein. Exhibition at the flat of Al. Glezer. 1974. Moscow



გამოფენა ალ. გლეზერის ბინაში. 1974. მოსკოვი
Exhibition at the flat of Al. Glezer. 1974. Moscow






უსათაურო. 1979. შერეული ტექნიკა. 24 x 32 სმ
მხატვრის ოჯახის კოლექცია
Untitled. 1979. Mixed media. 24 x 32 cm
The Artist's Family Collection

მ. ჯ.
1979



ავტოპორტრეტი. 1961. ტილო, ზეთი. 52 x 40 სმ
ნორტონ და ნენსი დოჯების კოლექცია. ზიმერლის ხელოვნების მუზეუმი რატგერსის უნივერსიტეტში
Self-Portrait. 1961. Oil on canvas. 52 x 40 cm
Norton and Nancy Dodge Collection. Zimmerli Art Museum at Rutgers University




ავტოპორტრეტი. 2005. ტილო, ზეთი. 48 x 45 სმ. მხატვრის ოჯახის კოლექცია
Self-portrait. 2005. Oil on canvas. 48 x 45 cm. The Artist's Family Collection

30 წელი გულტად ვიდუქი ჩემს პოზიციას და ერთი წუთითაც არ მიდარდა მისთვის.
ჩემი შემოქმედება უპირველესად იყო იარაღი ტოტალიტარიზმსა და ათეიზმთან დასაპირისპირებლად,
რასაც დიდი სიყვარულით ვაკეთებდი, რადგან ეს წილი ჩემი საკეთებელი იყო. ჩემს სათქმელს სხვა ვერ იტყოდა.
ჩემი ოჯახი ბევრს ითმენდა, როგორც ეკონომიურ, ისე მორალურ ზეწოლას, ითმენდა იმიტომ, რომ ისინი
ხედავდნენ, როგორი გადაყოლილი ვიყავი ჩემს საქმეს. ამიტომ ჩემთან ბრძოლას აზრი არ ჰქონდა.

ოთარ ჩხარტიშვილი

I steadfastly maintained my position for thirty years and never betrayed it for a moment. It was my responsibility to fight against totalitarianism and atheism using my creativity, which I did with tremendous love. No one else could have expressed what I wanted to convey. My family endured a great deal of economic and moral stress because of my dedication to my profession. Therefore, it was pointless to dispute with me.

Otar Chkhartishvili



1968 წლიდან ჩემი შემოქმედებითი მოღვაწეობა
აღსავსე იყო წინააღმდეგობებით,
რადგან ვერ ვურიგდებოდი კომუნისტების მიერ
გამოგონილ სოცრეალიზმის ცრუ აკადემიურ ფილოსოფიას,
ამიტომაც ამ წლებიდან 1990 წლამდე ანტისაბჭოთა მხატვრის
იარლიყი მქონდა მოკერებული.

ოთარ ჩხარტიშვილი

Since 1968, my creative work has been full
of contradictions because I could not concur
with the communists' false academic philosophy
of socialist realism; as a result,
I was labelled an anti-Soviet
artist from those years until 1990.

Otar Chkhartishvili



მილონი სანთელი. ტრიპტიქი (დეტალი). 1987. ტილო, ზეთი. 100 x 110, 100 x 110, 100 x 110 სმ
დimitრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეის კოლექცია
A Million Candles. Triptych (detail). 1987. Mixed media. 100 x 110, 100 x 110, 100 x 110 cm
Dimitri Shevardnadze National Gallery Collection



ედგნება ძმის ხსოვნას. ტრიპტიქი. 1985
შერეული ტექნიკა. 80 x 170, 60 x 150, 60 x 150 სმ
დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეის კოლექცია
Dedicated to the Memory of Brother. Triptych. 1985
Mixed media. 80 x 170, 60 x 150, 60 x 150 cm
Dimitri Shevardnadze National Gallery Collection

წელიწადის ოთხი დრო. ჩემი ეზო
Four Seasons: My Yard



ოთარი შვილებით. 1980. ხე, ზეთი. 69 x 66 სმ. მხატვრის ოჯახის კოლექცია
Otari with his Children. 1980. Oil on wood. 69 x 66 cm. The Artist's Family Collection



ოთარ ჩხარტიშვილის ნამუშევარი წელიწადის ოთხი დრო. ჩემი ეზო იმ ექსპერიმენტული სერიის ნაწილია, რომელიც 1980-იანი წლებიდან თვრამეტი წლის განმავლობაში იქმნებოდა. სერია მოიცავს რუსთავში, თავისი საცხოვრებელი ბინის ფანჯრიდან, დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში დანახული ეზოს ხედებს უმარტივესი ყოფითი სცენებით. ოთხი სეზონის ამსახველი ასეულობით ფერწერული ნამუშევრის ფორმატისა და ღიაპაზონის გამომსახველობა რეალისტურ - აბსტრაქტულიდან ფრაგმენტ - უჯრედებამდეც დადის.

ერთი და იმავე ადგილის ასეთი სახეცვლილება წარმოდგენლად შთამბეჭდავია და სიცოცხლის წრებრუნვაზე დაგვაფიქრებს. სიცოცხლის კონცეპტი კულტურის საკვანძო კონცეპტია. ნამუშევარი წელიწადის ოთხი დრო. ჩემი ეზო ოთარ ჩხარტიშვილის სულის ექსპიზიციია, სადაც სხვადასხვა ამინდის, სეზონისა და განწყობის დროს ეზოს ხედის ცვალებადობა კი არაა მნიშვნელოვანი, არამედ თავად მხატვრის პიროვნული ცვალებადობა. მხატვარი ყოველწუთიერად მადლობას უხდის შემოქმედს მხატვრად დაბადებისთვის, ეზოს ამ ხედისთვის, ეგზისტენციისთვის...

Otar Chkhartishvili's work, *Four Seasons: My Yard* (1980s), is an integral part of an experimental series developed over eighteen years. This series captures various perspectives of the courtyard in Rustavi, Georgia, observed from the window of the artist's apartment at any time of day or night, featuring the most fundamental everyday scenes. The paintings within this series vary in format and scope, ranging from realistic - abstract to fragmented, and even extending to cellular representations.

This impressive transformation of the same location may lead us to reflect on the cycle of life. The concept of life is a fundamental cultural concept. *Four Seasons: My Yard* is an exhibition of Otar Chkhartishvili's soul, where the view of the yard during various weather, seasons, and moods is of no more importance than the artist's personal variation. With every moment, the artist expresses gratitude to God for his existence as an artist, for the unique view of the backyard, and for the gift of life itself....


გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი და ისევ გაზაფხული...
Spring, Summer, Fall, Winter... and Spring



ნამუშევრები გია ჯოხთაბერიძისა და მანანა შვარდნაძის (დაცულია ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმში), ათინათისა და მხატვრის ოჯახის კოლექციებიდან
The featured artworks are from the collections of Gia Jokhtaberidze and Manana Shevardnadze (kept in the Georgian Museum of Fine Arts), ATINATI, and The Artist's Family Collections



სამწყემსო უმწყემსოდ. 1980. ტილო, ზეთი, 60 x 81 სმ
გია ჯოხთაბერიძის და მანანა შევარდნაძის კოლექცია. დაცულია ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმში
Flock without a Shepherd. 1980. Oil on canvas, 60 x 81 cm
Gia Jokhtaberidze and Manana Shevardnadze Collection - kept in the Museum of Georgian Fine Arts



დასავლეთ საქართველოს პეიზაჟი. 1981. ტილო, ზეთი, 42 x 53 სმ
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის კოლექცია
The Landscape of Western Georgia. 1981. Oil on canvas, 42 x 53 cm
Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts Collection



ქვემო ქართლი. 2001. ტილო, ზეთი, 51,8 x 72 სმ. ათინათის კოლექცია
Kvemo Kartli. 2001. Oil on Canvas, 51,8 x 72 cm. ATINATI Collection



აღმოსავლეთ საქართველოს მთები. 2003. ტილო, ზეთი, 58 x 66 სმ.
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის კოლექცია
Mountains of Eastern Georgia. 2003. Oil on canvas, 58 x 66 cm.
Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts Collection



ბროწეულები. 2005. ტილო, ზეთი. 39,5 x 59 სმ
მხატვრის ოჯახის კოლექცია
The Pomegranates. 2005. Oil on canvas. 39,5 x 59 cm
The Artist's Family Collection

M. R.
2005



თეოcharი ნაჭერი. 1983. ხე, ზეთი. 60 x 40 სმ. მხატვრის ოჯახის კოლექცია
White Cloth. 1980. Oil on wood. 69 x 66 cm. The Artist's Family Collection

2016 წელს Sotheby-ის აუქციონზე გაიყიდა ოთარ ჩხარტიშვილის ორი ნამუშევარი - *სახურავზე და სოხუმი*.
Additionally, two of his works, *On the Roof* and *Sokhumi*, were auctioned at Sotheby's in 2016.

